დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 13 სხდომის გადაწყვეტილებით

ცვლილებები შევიდა აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის N2

და 2026 წლის 30 ივლისის N7 სხდომის გადაწყვეტილებებით

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

GPA გამოთვლის წესი

1. ილიას სახელმწიფო უნივერსტეტში GPA (Grade Point Average) წარმოადგენს სტუდენტის მიერ თითოეული კურსის ფარგლებში დაგროვებული GP (Grade Point)-ების რაოდენობისა და მოპოვებული კრედიტების ნამრავლთა ჯამის განაყოფს სტუდენტის მიერ გავლილი კურსების კრედიტების ჯამზე:

   GPA = ∑ (თითოეული კურსის GP × თითოეული კურსის კრედიტები) / ∑ (თითოეული კურსის კრედიტების ჯამი);

2. GP (Grade Point) წარმოადგენს ერთი კურსის ფარგლებში მიღებული შეფასების კონვერტირებულ ქულას 4-ბალიან სკალაზე.

3. GP სისტემის მიხედვით შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

   F - 0-50 ქულა (0 ქულა, Fail)
   E - 51- 60 ქულა
   D - 61- 70 ქულა
   C - 71- 80 ქულა
   B - 81- 90 ქულა
   A - 91- 95 ქულა
   A+ 96 -100 ქულა

4. GP სისტემის მიხედვით, თითოეული კურსის ფარგლებში E კატეგორიის შეფასება (51-60) უცვლელად უდრის 1.00 GP-ს; D, C, B, A კატეგორიების შეფასებები (61 ქულიდან 95 ქულის ჩათვლით) თანაბრად 1/12-ებით (≈0.08-ებით) იზრდება; A+ კატეგორიის შეფასება (96 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით) უცვლელია და 4.00 GP-ს უტოლდება.[1]

[1] E და A+ შუალედებში უცვლელი („გაყინული“) GP შეფასების ლოგიკა მეტყველებს იმაზე, რომ ამ შუალედში მიღებულ შეფასებებს შორის სხვაობები მნიშვნელოვანი არ არის. მაგალითად, თუკი სტუდენტი 51-60 ქულის ფარგლებში ფასდება, მნიშვნელობა არ აქვს კონკრეტულად რა ქულა მიიღო - ნებისმიერი ქულა თანაბარმნიშვნელოვნად დაბალია;

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში GPA გაიცემა ყველა აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გარდა სწავლების სადოქტორო საფეხურისა. ასევე, GPA არ გაიცემა სასერთიფიკატო პროგრამების შემთხვევაში;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიცემა მხოლოდ საბოლოო GPA, რომელიც აისახება დიპლომის დანართში. აღნიშნული არ ვრცელდება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, ტექნოლოგიების სკოლის პროგრამებზე, ასევე დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაზე.

7. საბოლოო GPA-ის დაანაგრიშებისას წილადები დამრგვალდება მეათედების სიზუსტით.

ცხრილი 1. კურსის შეფასების კონვერტაცია GP-ს სისტემაზე

ნიშანი	A+	A	B	C	D	E	F
ქულობრივი სისტემა							
შეფასების ერთეულის ზომა	1	1	1	1	1	1	1
ერთეულების რაოდენობა	5	5	10	10	10	10	50
ნიშნის ზომა	5	5	10	10	10	10	50
კუმულაციური შეფასება	96-100	91-95	81-90	71-80	61-70	51-60	50
GP სისტემა							
შეფასების ერთეულის ზომა	0.08	0.08	0.08	0.08	0.08	1.00	0.00
ერთეულების რაოდენობა	1	5	10	10	10	1	0
ნიშნის ზომა	0.08	0.42	0.83	0.83	0.83	1.00	0.00
კუმულაციური შეფასება	4.00	3.92	3.50	2.67	1.83	1.00	0.00

გრაფიკი 2. GP ცვლილების დინამიკა ქულასთან მიმართებით

ანალოგიურად, თუკი სტუდენტი 96-100 ქულის შუალედში ფასდება, მნიშვნელობა აღარ აქვს კონკრეტულად რამდენი ქულა დააგროვა მან - ნებისმიერ შემთხვევაში, მისი ქულა თანაბარმნიშვნელოვნად გამორჩეულად არის მიჩნეული.


GP
4.00
3.50
3.00
2.50
2.00
1.50
1.00
0.50
0.00
ქულა
51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100